

„რა არის „სიმბოლიზმი“ — კითხულობს გაურმონი... მას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის: ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარისყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი. ის ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უგულებელყოფას, ანტინატურალიზმს, ტენდენციას, მიმართულს იქით, რაც არის ცხოვრებაში დამახასიათებელი, ტენდენციას მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემისას, რომელნიც ერთ ადამიანს მეორისგან ასხვავებს, სურვილს დაიჭირო ის, რაც არსებითია“.

„სიმბოლიზმი როგორც შკოლა, და არა როგორც მეთოდი“.

„სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ“.

„ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნილაბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

„ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს. სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს. პირველ ყოვლისა, ჩვენში დავიწყებულია სიტყვა“.

„სიმბოლიზმის, როგორც ფორმის გაღმერთების გავება, როგორც პრიმატი „როგორის“, „რაზე“ — გაუგებრობაა. ამგვარი

დასმა საკითხის მიუღებელია, რადგან იგი გულისხმობს განცალკევებას იქ, სადაც კონკრეტულად არსებობს მხოლოდ ერთიანობა, მაგრამ ფორმას უნდა მიეჭყეს დიდი ყურადღება“...

სიმბოლიზმი, როგორც შკოლა „ყანწებამდი“ ჩვენში არ არსებობდა.

„რასაკვირველია, რომ საქართველოში სიმბოლიზმი გამოდის მაშინ, როდესაც ის სხვაგან მებრძოლი შკოლიდან უკვე შეიქნა აკადემიური, რომ მისი მწუხრი იგრძნეს თვითონ ეპიგონებმა, და ახლა გამოდის ახალი შკოლა ფუტურიზმის“.

„ცისფერი ყანწები“ სიმბოლიურად ნიშნავენ ჭეშმარიტ მსოფლმხედველობას. „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა; ნოვალისმა გამოიჭირა მისტიკა ცისფერი ყვავილის, ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ჭკეყანაზე. ფილოსოფიურმა იდეალიზმმა იმაში ნახა გამოსავალი, საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი რომ ქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასდროს არ გაყრილან“.

„ჩვენ სული უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა, და სხეული კიდევ უსულოდ“. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს შკოლა (სიმბოლიზმი), საქართველოსთვის არ არის ახალი.

მხატვრობის უმთავრესი მიზანი იყო და არის ბუნების შეგნება შემოქმედების საშუალებით. მხატვრები ყოველთვის თავის ფორმას ბუნებაში ეძებენ. ბუნების შეგნება შეიძლება სხვადასხვა სახით და ფორმით. ამ მიზნით მხატვრობაში იბადება სხვადასხვა მხატვრული პრინციპები და მიმართულებანი.

მხატვრული პრინციპი მხატვრისათვის არის მხოლოდ საშუალება ბუნების შეგნებისათვის, მიზანი კი ბუნების შეგნება. ეს არის მხატვრობის ნამდვილი გზა. მაგრამ თუკი მხატვარი მიზნად დაისახავს პრინციპის განმტკიცებას, ის მხატვრობას არ ემსახურება, წას ლალატობს.

აგერ რამდენიმე ათეული წელიწადია რაც მხატვრობა განიცდის კრიზისს, მაგრამ ამ კრიზისმა განსაკუთრებული სახე მიიღო ეგრეთ წოდებულ „ფუტურიზმის“ დროს. როგორც ჩანს, ფუტურიზმით იწურება ეს დიდი ხნის კრიზისი და მხატვრობა მის შემდეგ მონახავს გამოსავალ გზას. ფუტურიზმმა დაბადა ის არანორ-

მალური მოვლენა, როდესაც მხატვრობის მიზნად გახდა რომელიმე პრინციპის განმტკიცება, ბუნების შეგნება კი, ეს თავი მიზანი მხატვრობისა, სრულებით დავიწყებული დარჩა. პიკასსოს და ბრაკის მიერ მონაპოვარნი ჩაედგა მკვიდრ საფუძვლად ფუტურისმს, მათი მიზანი იყო ბუნების შეგნება მხატვრობის სხვადასხვა საშუალებით. პიკასსო ამ საშუალებების ძიებაში ძლიერ შორს წავიდა. რომ ფორმის შეგნებას უფრო დაახლოვებულიყო, ის ფერადების და მოხატულობის გარდა სხვა საშუალებებს ხმარობდა. მან შეიტანა მხატვრობაში თვით რეალური ფორმის, მატერიალური ნივთიერების ხმარება. პიკასსოს და ბრაკს არ უღალატიათ მხატვრულ უმთავრეს მიზნის, ბუნების შეგნებისათვის. პიკასსო ნამდვილი ნატურალისტია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაგრამ პიკასსო, როგორც თანამედროვე უდიდესი მხატვარი, ნოვატორი, პროფანებისათვის გაუგებარი დარჩა. სწორედ ამ გაუგებრობამ მიაწერა პიკასსოს მხატვრობას მისტიციზმი, უმთავრეს მისი შემოქმედების სახეს დემონიზმი. უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენ დროში პროფანებს და დილეტანტს ფასი აქვთ და მათი აზრი საზოგადოებაში ფეხს იკიდებს.

სხვადასხვა ჯურის მხატვრებმა დაიწყეს პიკასსოს და ბრაკის მონაპოვართა „გალრმაგება“ და თამაშობდნენ მხატვრობის მოღალატენის როლს. ამ მხატვრებმა თავის მიზნად უკვე გაიხადეს რომელიმე თავის გამოგონილი პრინციპის განმტკიცება. ახალ მიმართულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ყოველ მხატვარს აღმოუჩნდა თავისი მხატვრული მიმართულება. შეიქმნა დიდი გაუგებრობა. დადგა დიდად ხელსაყრელი დრო პროფანებისათვის და დილეტანტებისათვის. საკმარისი იყო რომელიმე ახალი „პრინციპის“ ან მიმართულების გამოგონება „იზმით“ დამთავრებულის, რომ თავისი თავი მხატვრად გაესაღებინათ. ეს ძლიერ ადვილი საქმე პროფანებს უწევდა დიდ საქმეს. ავიწყდებოდათ რომ მხატვრობის მიმართულებას სახელი — „იზმით“ დაბოლოვებული — კი არა ქმნის, არამედ თვით მხატვრული ნაწარმოები.

ამ არანორმალურმა მოვლენამ განსაკუთრებით თავი იჩინა რუსეთში. არსად არ ყოფილა პიკასსო-ბრაკი ისე გაუგებარი, როგორც რუსეთში. დამახასიათებელია რუსეთის მხატვრებისათვის, რომ ყოველ მხატვრულ მოვლენას მხოლოდ გარეგნულად ითვი-

სებენ და ძლიერ დაგვიანებით. ფუტურიზმსაც აგრე დაემართა. პიკასსო-ბრაკის პრინციპების გაუგებრობას ის მოჰყვა, რომ შეიქმნა თითქმის იმდენი მხატვრული მიმართულება სხვადასხვა „ნიშნებით“ დაბოლოებული, რამდენიც მხატვარი აღმოჩნდა. მხატვრებმა მიზნათ გაიხადეს ახალი მიმართულებების აღმოჩენა. ამ მიზეზით მხატვრობაში შეიპარა იმისთანა პირები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ მხატვრობასთან.

ადამიანის ცხოვრებას ყოველთვის გამართლება უნდა. თუკი ცხოვრება გამართლებული არ არის, მაშინ ის უარყოფილია. ამბობენ, რომ თანამედროვე ცხოვრებას გამართლება კი არა, დაწვა, დადაგვა სჭირდება: ეს გაუგებრობაა. ცხოვრების მოსპობა ხომ მისი უარყოფაა, ადამიანი კი სიცოცხლისაკენ და სიხარულისაკენ უნდა ისწრაფვიდეს და არა სიკვდილისაკენ.

ადამიანის ცხოვრების გამართლება შემდეგ ფორმებში ისახება: რელიგიაში, ფილოსოფიაში, მეცნიერებაში და ხელოვნებაში. წარსული კაცობრიობის ცხოვრება რელიგიაში ნახულობდა თავის გამართლებას. ჩვენს დროში კი რელიგია უკვე თანდათან კარგავს თავის დანიშნულებას და მას უკვე არ შეუძლია იქნეს ცხოვრების მიზნად. ვერც თანამედროვე მეცნიერება და ფილოსოფია ვერ იქნება ჩვენი ცხოვრების მიზანი, რადგან მეცნიერება ეხლა დგება მკვიდრ საფუძველზე, მისი დიაღობა მომავალშია.

თანამედროვე ცხოვრების გამართლება ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ, რადგან მას აქვს ამის საშუალებაც. ბუნების შეგნების საუკეთესო საშუალებად ხელოვნება უნდა ჩაითვალოს. ხელოვნების შემოქმედებითი ფორმა ჩვენ გვაგებინებს ბუნების სიდიადეს, მის აზრს და მის თვისებას. ხელოვნებაში ადამიანი აღწევს თავისი ბუნების შეგნებას, სულის სიძლიერეს, სიცხოველეს და სიხარულს. ამიტომ ხელოვნებისადმი სიყვარული ჩვენ ცხოვრების საშუალებას გვაძლევს.

ხელოვნება ისახება შემოქმედების ფორმაში, ხოლო შემოქმედების ფორმის სახე დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორი მხატვრული პრინციპით მიუვალთ ჩვენ ბუნების შეგნებას. ეს მხატვრული პრინციპი კი მხოლოდ მხატვრობაში პოულობს თავის გარკვეულ სახეს. ამ მხრივ, ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, მხატვრობას უკავია მოწინავე ადგილი. გავიხსენოთ მხატვრული ფორ-

მის ზრდის ისტორია და ჩვენ ამაში დავრწმუნდებით. წარსული საუკუნის მხატვრული ფორმის სახე ჯერ მხატვრობამ შექმნა და შემდეგ სხვა ხელოვნების დარგებიც ამ ფორმის ფარგლებში ქმნიდა თავის სახეს. XIX საუკუნის მხატვრული ფორმები — იმპრესიონიზმიდან დაწყებული, ვიდრე ფუტურიზმამდე — ჯერ მხატვრობაში პოულობდნენ თავის სახეს. მართალია, რომ ახალი მხატვრული ფორმის შემქმნელი ყოველთვის პიროვნებაა და, ამიტომაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა რომელიმე მიმართულების სახელი „იზმით“ დაბოლოვებული, არამედ თვით ამ მხატვრული ფორმის შემქმნელი სული. ამ მიზეზით ჩვენთვის დაუვიწყარი და სანატრელი არიან ის პირები, რომელთა შემოქმედება დანთავრებულ მხატვრულ ფორმას იძლეოდა.

თანამედროვე ხალხოსნური ხელოვნების დამფუძნებელი, გარდა მხატვრობისა — მწერლობაა, რადგან მწერლობა თავისი ფორმით ამ მიზანს ადვილად უწევს სამსახურს. სიტყვა, როგორც ასეთი, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა ადამიანის ბუნების შეგნებისათვის. პოეზია გვაძლევს ჩვენ სიტყვის არსებით მნიშვნელობას, მის სიდიადეს, მის აზრს. თანამედროვე პოეზია წმინდა თავის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და როდესაც ჩვენ ის დაგვანახებს სიტყვის დიადობას, მის ბუნებას, მაშინ პოეზიის აზრიც გაგებული იქნება.

თუკი პოეზია სიტყვის თვისებაზეა აგებული, მაშინ მხატვრობა ფერადობის, ხაზულობის და ფორმის თვისებების შედეგია. მხატვრობა ისახება ფერადების სიძლიერის შეგნებაში, მათი თვისებების გაგებაში, ხაზულობის არსებითი მნიშვნელობის და შემადგენელი ნაწილების შეგნებაში. ამიტომაც მხატვრობა თავის ფორმას ბუნების სახიდან ქმნის და მისი პირდაპირი მიზანი ბუნების უშუალოდ შეგნებაა. მხატვრობა ყოველთვის ბუნების ფორმიდან გამოდიოდა და, თუკი თავის პირდაპირ მიზანს — ბუნების შეგნებას — უხვევდა, ის მაშინ კარგავდა თავის სახესაც. გამოჩენილმა ფრანგმა მხატვარმა პიკასომ ეს ჩვენ უკვე დაგვანახა. ამიტომ ეგრედ წოდებული ფუტურიზმის უკიდურესმა განვითარებამ, ჩვენ მოგვცა მხატვრობის უარყოფითი ფორმა. პოეზიაშიც ფუტურიზმი ამავე სახით ისახება — მან პოეზია უარყო. და ჩვენ სრულებით უნდა დავეთანხმოთ ერთი ჩვენი თანამემამულე პოეტის აზრს, რომ

ფუტურში ეკუთვნის ცხოვრების კატეგორიას და არა ხელოვნების რიგს.

რადგანაც მხატვრობა ბუნების ფორმის შეგნებიდან გამოდის და მისი სახე ფერადობის, ხაზულობის და ფორმის ფარგლებშია, ამიტომ მხატვრობის დასაბამი ადამიანის მხედველობის ათვისებიდან იწყება. შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს ორნაირი მხედველობა: ერთი ჩვეულებრივი და მეორე მხატვრული მხედველობა. მხატვრული მხედველობა იმით განირჩევა ჩვეულებრივი მხედველობისაგან, რომ პირველის საშუალებით ჩვენ ვაღწევთ ფორმის შინაგან მხარეს და ვხედავთ არა თუ მარტო ფორმის გარეგნულ თვისებებს, არამედ ვცნობთ მის შინაგან თვისებებსაც. მხატვრული მხედველობის საშუალებით ჩვენ ვუახლოვდებით ბუნებას, და ამავე დროს ხელოვნების არსებასაც. მისი საშუალებით ჩვენ ბუნების საიდუმლოების კარებს ვხსნით, რომლის იქით მუდმივი სიცოცხლის წყარო იწყება.

ყოველი ადამიანის სული ისახება როგორც ჩვეულებრივი, ისე მხატვრული მხედველობით. ხოლო მხატვარი ხასიათდება მხატვრული მხედველობის დიდი განვითარებით. მხატვრის მხატვრული მხედველობის თვისებაზედაა დამოკიდებული მისი შემოქმედებითი სახე. დამთავრებული მხატვრული ფორმის შემქმნელი აუცილებლად აღჭურვილი არის სრული მხატვრული მხედველობით. სწორედ მხატვრობის მნიშვნელობა იმაშია, რომ მას აქვს საშუალება დაგვანახოს ბუნების საიდუმლოება მხედველობის საშუალებით. ფერადების საიდუმლოება მათ სიძლიერეშია, ხაზულობის საიდუმლოება — მის ერთმანეთში დაკავშირებაშია და ფორმის სიდიადე — მისი სიბრტყეების შეთანხმებაშია.

რადგან მხედველობა ადამიანის ერთგანი თვისებაა, ამიტომ მხატვრობას ადამიანის სულის ამაღლებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუკი ჩვენ ვეცდებით განვაავითაროთ ჩვენში, გარდა ჩვეულებრივი მხედველობისა, მხატვრული მხედველობაც, მაშინ ჩვენ ხელოვნების საიდუმლოებას დავუახლოვდებით. თანამედროვე ხალხოსნური მხატვრობა სწორედ ამ მხატვრული მხედველობის განვითარების შედეგი უნდა იქნეს, თანამედროვე მხატვრობის ზოგი მონაპოვარნი სწორედ ამ მხატვრული მხედველობის არაჩვეულებრივი განვითარების მიზეზია.

ამრიგად, ჩვენი ცხოვრების გამართლება ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ, რადგან ახლა იმისთანა პირობებში ვცხოვრობთ, როდესაც მხატვრული ფორმის დიადობას უნდა ველოდეთ.

თანამედროვე სახე ფართო ხალხოსნური უნდა იქნეს. რადგან ხელოვნების სხვადასხვა დარგებში მხატვრობას, როგორც მხატვრული პრინციპის დამფუძნებელს, მოწინავე ადგილი უკავია, ამიტომ მას ჩვენ დროში განსაკუთრებული სახე უნდა მიეცეს. მხატვრობის პირდაპირი მიზანია, ბუნების უშუალოდ შეგნება და თავის სახეს ის ბუნების ფორმიდან იბენს. მისი შემოქმედებითი ფორმა დამოკიდებულია ადამიანის მხედველობის თვისებაზე. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა შევიგნოთ ხელოვნების დიადობა, გავიგოთ ბუნების ფორმის საიდუმლოება და დავინახოთ მისი სილამაზე და სიცოცხლე, საჭიროა განვაფიქროთ ჩვენში მხატვრული მხედველობის თვისება. მხატვრობის (ფერადობის, ხანულობის და ფორმის) შეგნება და პოეზიის (სიტყვის) გაგება აამაღლებს ჩვენს სულს.

(დაახლოებით 1918 წლის ზაფხული)

